პაატა შეშელიძე

paatasheshelidze@nesgeorgia.org

# ახალი ეკონომიკური სკოლა

ეკონომიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება
2001 წლიდან

# წარმოგიდგენთ

# ეკონომიკის სახელმძღვანელოს



NEW ECONOMIC SCHOOL - GEORGIA
WWW.NES-G.ORG

# პირველი მცდელობა საქართველოში

## აზროვნების ეკონომიკური წესი, ცნობისმოყვარეობა, კრიტიკული აზროვნება და პასუხები ცხოვრებისეულ კითხვებზე.

- რას მოიცავს ეკონომიკა?
- რით განსხვავდება იგი სხვა მეცნიერებებისგან?
- როგორ იღებს გადაწყვეტილებებს ადამიანი?
- როდის სჯობს დღევანდელი კვერცხი და როდის – ხვალინდელი ქათამი?
- როგორ აირჩიო პროფესია?
- რატომ უნდა დაზოგო და დააგროვო?
- საიდან ჩნდება დახლებზე საქონელი?
- რა მნიშვნელობა აქვს მეწარმეობას?
- რა არის ფული?
- რატომ იცვლება ფასები?
- რა დანიშნულება აქვს მთავრობას?
- რატომ, როგორ და რისთვის ვიხდით გადასახადებს?
- რატომ იყიდება უცხოური საქონელი?

# ლიეტუვაში და ევროკავშირში გრიფირებული სახელმძღვანელო

წიგნი წარმოადგენს ლიეტუვური სახელმძღვანელოს  ქართულ რეალობასთან ადაპტირებულ ტექსტს;

განხილულია ქართული მაგალითები:

- გადასახადები;
- საქართველოს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის სპეციფიკა;
- სხვა მსგვსი შინაარსის ეკონომიკური საკითხები.

# სახელმძღვანელოს შინაარსი

1. შესავალი ეკონომიკაში;
2. ბაზარი;
3. პირადი ფინანსები;
4. ბიზნესი;
5. მთავრობა;
6. საერთაშორისო ვაჭრობა;
7. სილაბუსი;
8. ლექსიკონი.

# ქართულენოვანი ვებ-პორტალი

- მოსწავლეებისთვის
- მასწავლებლებისთვის
- მშობლებისთვის

სრული წვდომა სახელმძღვანელოს ტექსტზე, სავარჯიშოებზე, ტესტებზე, აუდიო და ვიდეო მასალაზე

# სახელმძღვანელოს შემქმნელები

მომზადებულია ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს მიერ

ლიტვის თავისუფალი ბაზრის ინსტიტუტის სასკოლო სახელმძღვანელოს „ეკონომიკა 31 გაკვეთილში“ საფუძველზე.

**მხარდამჭერები:**

გლობალ ფილანთროფიკ თრასთი (აშშ);

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასიის ოფისი(გერმანია);

საქართველოს უნივერსიტეტი.

**სარედაქციო ჯგუფი:** პაატა შეშელიძე, გია ჯანდიერი, გიორგი ჩხიკვაძე, გიორგი ჩიქოვანი, ნოდარ ჩინჩალაძე.

**მთარგმნელი:** ნოდარ ჩინჩალაძე

**რედაქტორი:** ელიკო შოშიტაშვილი

# პორტალის მართვის პანელი



# პორტალის მოხმარების წესები

schooleconomics.org/help

## დახმარება

საიტის რესურსების წვდომისათვის საჭიროა რეგისტრაცია. რეგისტრაცია დაყოფილია სამ ჯგუფად: მასწავლებელი, სტუდენტი / მოსწავლე, და სხვა.

დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“




აირჩიეთ თქვენთვის საჭირო განყოფილება





schooleconomics.org/help

შეიყვანეთ ინფორმაცია შესაბამის ველებში (აუცილებლად შესავსები ველები მონიშნულია ნიშნით *) და დააჭირეთ ღილაკს ,,რეგისტრაცია".

ᲗᲣ ᲮᲐᲠᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲓᲘᲗ

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ

პროფილის ფოტო — Choose File No file chosen

მომხმარებლის სახელი *

პაროლი *

დაადასტურეთ პაროლი *

სახელი *

გვარი *

ორგანიზაცია / სკოლა *

მისამართი

ქალაქი *

ტელეფონი

ელ. ფოსტა *

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

schooleconomics.org/help

რეგისტრაციის დასრულების შემდგომ თქვენი მოთხოვნა გადავა განხილვის რეჟიმში, და დასტურის შემთხვევაშ ელექტრონულ ფოსტაზე მოგივათ შეტყობინება თქვენი ანგარიშის გააქტიურების შესახებ. ამის შემდგომ თქვენ შეგიძიათ შეხვიდეთ საიტზე და ისაგებლოთ განთავსებული ინფორმაციით.




საიტზე შესვლის შემდგომ თქვენ ასევე გეძლევათ თქვენი პროფილიდან პერსონალური მონაცემების რედაქტირების საშუალება ( გარდა მომხმარებლის სახელის, თქვენი სახელისა და გვარისა) .




შენიშვნა: საიტზე რეგისტრაციის ვადაა ერთი წელი. ვადის გასვლის შემდეგ საჭირო იქნება რეგისტრაციის განახლება.

# პორტალის ძირითადი მენიუ



# პორტალის სრული მენიუ

schooleconomics.org/book/the-task-of-the-economy-capabilities-and-limits#slider-3

67%

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ


I. ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ

1. ეკონომიკის საგანი
2. ეკონომიკის ამოცანა, შესაძლებლობები და ზღვრები
3. ეკონომიკა და სხვა მეცნიერებები

ნაწილი I. შეამოწმე მიღებული ცოდნა

II. ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

4. სიმდიდრე და სიღარიბე
5. ალტერნატივის დანახარჯი
6. გაცვლა
7. ფული
8. მოთხოვნა და მიწოდება
9. ფასი

ნაწილი II. შეამოწმე მიღებული ცოდნა

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ლექსიკონი

ᲡᲘᲚᲐᲑᲣᲡᲘ

სილაბუსი

III. ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ

10. შემოსავალი
11. შრომის დანაწილება
12. ხელფასი და განაკვეთი
13. პირადი ბიუჯეტი
14. იხდი თუ არა გადასახადებს?
15. დაზოგვა და დაგროვება
16. დაზოგვა, დაგროვება და ინვესტირება

ნაწილი III. შეამოწმე მიღებული ცოდნა

IV. ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ

17. ბიზნესი და მეწარმეები
18. ბიზნესის მორალურობა
19. კონკურენცია
20. მონოპოლია

ნაწილი III. შეამოწმე მიღებული ცოდნა

V. ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

21. მთავრობა და საზოგადოება
22. ეკონომიკური აზრი და მთავრობა
23. საზოგადოებრივი მოხმარების საქონელი და მომსახურება
24. გადასახადები
25. სახელმწიფო ბიუჯეტი
26. ეკონომიკური მაჩვენებლები (ინდიკატორები)
27. ინფლაცია და დეფლაცია

ნაწილი V. შეამოწმე მიღებული ცოდნა

VI. ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

28. საერთაშორისო გაცვლები
29. ეროვნული სპეციალიზაცია
30. საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვები
31. გაცვლითი კურსები

ნაწილი VI. შეამოწმე მიღებული ცოდნა


ელოდება – schooleconomics.org...

# ელექტრონული წიგნის განლაგება პორტალზე

შემდეგი >

## 1. ეკონომიკის საგანი

სილაბუსი

> რა არის ეკონომიკა? რატომ არის ასე რთული გვონდეს ყველაფერი, როცა გინდა რომ გვონდეს? რატომ არის შეუძლებელი ერთდროულად დაესწრო ბალეტის, ფეხბურთის, ჭადრაკის გაკვეთილებს, შეუერთდე ცხოველთა დამცველ ნორვეგიელ მოხალისეებს და ამავე დროს რედაქტირება გაუწიო სკოლის გაზეთს? რატომ გიწევს არჩევანის გაკეთება დღევანდელ კინო და პოპკორნსა და ხვალინდელ ლეპტოპს შორის? ისეთ სამყაროში, სადაც ყველა სურვილი სრულდება, ეკონომიკა საჭირო არ იქნებოდა. ჯადოსნური ჯოხი, შოკოლადის უნაპირო მდინარეები და დაუღალავი სუპერგმირები მხოლოდ ზღაპრებში არსებობენ.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვეჯახებით უკმარისობას: არასაკმარისი დრო, ფული, სხვა საქონელი. დღე-ღამეში მხოლოდ 24 საათია და დასახარჯად შეზღუდული თანხა გვაქვს. რძეც კი შეზღუდულია მაღაზიებსა და საწყობებში. შეზღუდული რაოდენობის ფერმებში ძროხების შეზღუდული რაოდენობა იცოხნება თივას, რომლის ოდენობაც ასევე შეზღუდულია. ადგილიც კი, სადაც ძროხა იცოხნება, ასევე შეზღუდულია - ერთ ადგილზე შეუძლებელია ორი ძროხა ერთდროულად იცოხნებოდეს.

ჩვენ შეზღუდული რესურსების სამყაროში ვცხოვრობთ და ყოველთვის არჩევანის გაკეთება გვიწევს. ჩვენ ვირჩევთ ნივთს, რომელიც გვეჩვენება უფრო ღირებულად, ვიდრე სხვა. რესურსების უკმარისობა ეკონომიკის ძირითადი პრობლემაა. თითოეული ადამიანი, თემი, თუ სახელმწიფო ამ პრობლემას აწყდება და არჩევანს აკეთებს. ყოველი არჩევანი ეკონომიკურ აქტივობად უნდა მივიჩნიოთ.

ამასთან, ერთი რამ არის შეუზღუდავი, ის რის ნაკლებობასაც ხალხი არ განიცდის - სურვილები. ზოგი ადამიანის სურვილები არის მარტივი და ძირითადი - ადამიანებს უნდათ კომფორტული საცხოვრებელი გარემო. სხვებს უნდათ თავად და მათი შვილიშვილები ჯანმრთელები იყვნენ. ზოგს - სამყარო უკეთესი უნდა, რომ გახადოს. არა

მომსახურება არის არამატერიალური ღირებულება, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნილებას (მაგ. მკურნალობა).

საქონელი არის მატერიალური სიკეთე, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნას. (მაგ.ხილი).

ჩვენი დრო შეზღუდულია.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი საქონლის რაოდენობა შეზღუდულია.

შეზღუდული რესურსი ნიშნავს, რომ საქონლის ან მომსახურების შესაქმნელად იგი მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობითაა ხელმისაწვდომი. ყოველი შეზღუდული რესურსი არის ეკონომიკური რესურსი.

ეკონომიკა არის სოციალური მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის საქმიანობას.

# წიგნის განლაგება პორტალზე

ამასთან, ერთი რამ არის შეუზღუდავი, ის რის ნაკლებობასაც ხალხი არ განიცდის - სურვილები. ზოგი ადამიანის სურვილები არის მარტივი და ძირითადი - ადამიანებს უნდათ კომფორტული საცხოვრებელი გარემო. სხვებს უნდათ თავად და მათი შვილიშვილები ჯანმრთელები იყვნენ. ზოგს - სმაყარო უკეთესი უნდა, რომ გახადოს. არა აქვს მნიშვნელობა ახალი სავარძელი გნებავთ, თუ მშვიდობა მსოფლიოში, თქვენ მოგიწევთ გარკვეული ძალისხმევა და არჩევა გარშემო არსებულ ალტერნატივებს შორის.

როგორ უნდა გაწონასწორდეს შეუზღუდავი სურვილი და შეზღუდული რესურსები?

ეკონომიკურად გასაანალიზებელია შეზღუდული რესურსების შეუთავსებლობა შეუზღუდავ სურვილებთან. ეკონომიკის ამოცანაა გადაწყვიტოს როგორ გამოიყენოს შეზღუდული რესურსები შეუზღუდავი სურვილების დასაკმაყოფილებლად.

ეს არ ნიშნავს რომ ეკონომისტებმა საქონლის წარმოების ან სერვისის შექმნის ყველაზე სწორი გზა იციან. ეკონომისტებმა იციან რომ არავის შეუძლია ქონდეს ყველაფერი, რაც სურს. არჩევანის გაკეთებისას ყველა ცდილობს რომ ის მისი მიზნების მისაღწევად საუკეთესო იყოს. არჩევანის გაკეთებისას ადამიანები დანახარჯებს და სარგებელს ითვალისწინებენ, თავიანთი სურვილების ყველაზე იაფად დაიკმაყოფილებას ცდილობენ. ადამიანების არჩევანს შეზღუდულ რესურსებთან მიმართებით ეკონომიკურ აქტივობა ეწოდება. ადამიანები სხვადასხვა სტიმულზე რეაგირებენ. ისინი ირჩევენ გარკვეულ შესაძლებლობებს და უარყოფენ სხვას. ისინი იკმაყოფილებენ ზოგიერთ სურვილს და უგულვებელყოფენ სხვებს. ეკონომიკა ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც ყოველდღიური აქტივობა ისე სამუშაოზე სტრატეგიული გადაწყვეტილების დასაგეგმად. შესაბამისად, ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და მსოფლიოსათვის.



ილიას ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ყველაზე დიდი მიზეზი მაშინდელი საქართველოს წარუმატებლობისა ეკონომიკური პრინციპების დავიწყება იყო. სწორედ ამიტომ ის წერდა, რომ „მივიწყებულს ეკონომიკურს მხარეს ჩვენი ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა".

ეკონომიკა არის სოციალური მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის საქმიანობას.

### ეკონომისტის რჩევა

**ეკონომიკური აზროვნებაა!** როცა ირჩევთ რა გქონდეთ საუზმედ, სად იყიდოთ ციგა ან სკეიტბორდი, დაესწროთ საფეხბურთო ვარჯიშს თუ იმღეროთ ეკლესიის გუნდში, თქვენ აკეთებთ ეკონომიკურ არჩევანს. არ დაგავიწყდეთ, რომ რესურსები შეზღუდულია. გაითვალისწინეთ თქვენი პირობები. თქვენი შეუზღუდავი სურვილებიდან აირჩიე ყველაზე უფრო ღირებული.

### უცნაური ფაქტი

**ეკონომისტი ჟან-ბაპტისტ სეი (1767-1832)** იყო პირველი, რომელ-მაც გამოიკვლია ეკონომიკის მეთოდოლოგია. ის მიხვდა, რომ ეკონომიკა არა მხოლოდ მონაცემების შეგროვება იყო, არამედ ისეთი რეალობის განსაზღვრა, როგორიცაა შეუზღუდავი სურვილები და შეზღუდული რესურსები, აქედან გამომდინარე არჩევანითა და ქმედებით.

## სავარჯიშოები

**სავარჯიშო 1.** რომელი წინადადებაა სწორი და რომელი არასწორი?

სწორია თუ არა შემდეგი დებულება?

1. ჩვენ ვცხოვრობთ შეზღუდული რესურსების სამყაროში;
2. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ნებისმიერი სურვილი დავიკმაყოფილოთ;
3. ჩვენი ნებისმიერი გადაწყვეტილება გულისხმობს მის ალტერნატივებზე უარის თქმას;
4. ეკონომისტებს შეუძლიათ განსაზღვრონ თუ რა არის საჭირო თითოეული ადამიანისთვის;
5. დედამიწაზე უსასრულო რაოდენობის ავტომობილი არსებობს;
6. ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ.

**სავარჯიშო 2**. დაადასტურე ან უარყავი მითი.

**სავარჯიშო 3.** გაასწორეთ: რომელი აქტივობა შეიძლება ინოდებოდეს და რომელი არა ეკონომიკად, რატომ?

**სავარჯიშო 4.** უპასუხეთ კითხვებს.

**სავარჯიშო 5.** წაიკითხეთ ტექსტი და გაანალიზეთ ვითარება. გააგრძელეთ თითოეული არჩევანის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო ეკონომიკური არგუმენტების ჩამოყალიბება.

პასუხები

# სავარჯიშოების პანელი მასწავლებლებისთვის

## პასუხები

**სავარჯიშო 1.** რომელი წინადადებაა სწორი და რომელი არასწორი?

სწორია თუ არა შემდეგი დებულება?

1. სწორია;
2. არასწორია;
3. სწორია;
4. არასწორია;
5. რასწორია;
6. სწორია.

**სავარჯიშო 2.** დაადასტურე ან უარყავი მითი.

მითების გამქარწყლებლები

1. არასწორია, რადგან თუ ადამიანს მოცემული ნივთი არ უღირს იმდენად, რაც დაუფასეს, უბრალოდ არ იყიდის.
2. შეუძლებელია, რადგან ადამიანს ყოველთვის უწევს არჩევანის გაკეთება ამა თუ იმ შესაძლებლობას შორის. მაგალითად: 1. ერთდროულად ორ სხვადასხვა ადგილზე ვერ იქნება; 2. ყველაფრის ყიდვა ყველაზე მდიდარი ადამიანის შესაძლებლობებსაც კი აღემატება.
3. სწორია. მაგალითად, ლითონებიდან რკინის რესურსი ნაკლებად შეზღუდულია, ვიდრე ოქროს რესურსი. ასევე, ადგილმდებარეობის მიხედვით, ზოგ ადგილას წყალი მეტად შეზღუდული რესურსია, ზოგან ნაკლებად.

# მადლობა ყურადღებისთვის

პორტალის ადმინისტრაცია
Web: www.schooleconomics.org
Email: contact@schooleconomics.org

ახალი ეკონომიკური სკოლა
Web: nes-g.org
Email: office@nesgeorgia.org

პაატა შეშელიძე

paatasheshelidze@nesgeorgia.org